

შპს „GL მარკეტი“

ს/ნ 404912467

ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შინაარსი

- ✓ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება3
- ✓ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება....4
- ✓ საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 5
- ✓ განმარტებითი შენიშვნები.....6-19

ფინანსური მდგომარეობის უწყისი		12.31.2018	01.01.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	314,522	299,780
არამატერიალური აქტივი		1,250	2013
გაცემული სესხი	4	255,000	255,000
		570,772	556,793
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	643,618	137,027
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	143,114	119,996
მარაგები	7	1,035,393	871,605
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	8	104,125	53,125
		1,926,250	1,181,753
მთლიანი აქტივები		2,497,022	1,738,546
მთლიანი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,002,238	416,934
		1,002,238	416,934
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	1,494,784	1,321,612
		1,494,784	1,321,612
მთლიანი ვალდებულებები		1,494,784	1,321,612
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		2,497,022	1,738,546

დირექტორი _____ გიორგი მელიქიძე

ფინანსური მდგომარეობის უწყისი

		12/31/2018	12/31/2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	314522	299780
არამატერიალური აქტივი		1250	2013
გაცემული სესხი	4	255,000	255,000
		570,772	556,793
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	643,618	137,027
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	143,114	119,996
მარაგები	7	1,035,393	871,605
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	8	104,125	53,125
		1,926,250	1,181,753
მთლიანი აქტივები		2,497,022	1,738,546
მთლიანი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,002,238	416,934
		1,002,238	416,934
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	1,494,784	1,321,612
		1,494,784	1,321,612
მთლიანი ვალდებულებები		1,494,784	1,321,612
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		2,497,022	1,738,546

დირექტორი



გიორგი მელიქიძე



მოგება ან ზარალის და სხვა შემოსავლის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო წლისთვის

მოგება - ზარალის ანგარიშგება			
		12.31.2018	01.01.2018
ამონაგები	10	11,991,147	9,801,911
თვითღირებულება		(9,976,055)	(8,212,435)
საერთო მოგება		2,015,092	1,589,476
სხვა შემოსავლები	11	7,524	7,934
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	12	(1,484,626)	(1,217,317)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	13	(106)	(7,701)
სხვა ხარჯები	14	(3,580)	(8,582)
საოპერაციო მოგება		534,304	363,810
ფინანსური შემოსავალი	15	51,000	51,000
ფინანსური ხარჯი			
ფინანსური ხარჯი - წმინდა		51,000	51,000
მოგება დაბეგვრამდე		585,304	414,810
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება		585,304	414,810

დირექტორი _____ გიორგი მელიქიძე

მოგება ან ზარალის და სხვა შემოსავლის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო წლისთვის

მოგება - ზარალის ანგარიშგება

		12/31/2018	12/31/2017
ამონაგები	10	11,991,147	9,801,911
თვითღირებულება		(9,976,055)	(8,212,435)
საერთო მოგება		2,015,092	1,589,476
სხვა შემოსავლები	11	7,524	7,934
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	12	(1,484,626)	(1,217,317)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	13	(106)	(7,701)
სხვა ხარჯები	14	(3,580)	(8,582)
საოპერაციო მოგება		534,304	363,810
ფინანსური შემოსავალი	15	51,000	51,000
ფინანსური ხარჯი			
ფინანსური ხარჯი - წმინდა		51,000	51,000
მოგება დაბეგვრამდე		585,304	414,810
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება		585,304	414,810

დირექტორი



გიორგი მელიქიძე



საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 1 იანვარი			349,685	349,685
წმინდა მოგება	-	-	414,810	414,810
სხვა სრული შემოსავალი	-			
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	414,810	414,810
გაცემული დივიდენდი	-	-	(347,561)	(347,561)
2017 წლის 31 დეკემბერი	-	-	416,934	416,934
წმინდა მოგება	-	-	585,304	585,304
სხვა სრული შემოსავალი	-			
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	585,304	585,304
გაცემული დივიდენდი	-			
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-			
2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	1,002,238	1,002,238

დირექტორი _____ გიორგი მელიქიძე

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მოლიანი კაპიტალი
2017 წლის 1 იანვარი			349,685	349,685
წმინდა მოგება	-	-	414,810	414,810
სხვა სრული შემოსავალი	-			
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	414,810	414,810
გაცემული დივიდენდი	-	-	(347,561)	(347,561)
2017 წლის 31 დეკემბერი	-	-	416,934	416,934
წმინდა მოგება	-	-	585,304	585,304
სხვა სრული შემოსავალი	-			
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	585,304	585,304
გაცემული დივიდენდი	-			
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-			
2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	1,002,238	1,002,238

დირექტორი



გიორგი მელიქიძე



1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ:

შპს „GL მარკეტი“ (შემდგომში - კომპანია) დაფუძნდა 2011 წლის 29 სექტემბერს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დასახლება დიდი დიღომი, III მ/რ, კორ. 5, ავტოფარეხი, შენობა № 18.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის მფლობელები არიან: ლევან მუნჯიშვილი (პ/ნ 35001034448) - 50%; გიორგი მელიქიძე (პ/ნ 01019019675) - 50%.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში უპირატესად საკვები პროდუქტებით სასმელებით ან თამბაქოს ნაწარმით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

2.1 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

კომპანიის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2018 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2018 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, შესაბამის განმარტებით შენიშვნებს.

2.2 შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

2.2.1. პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა: - კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს; - კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; - შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა; - მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და - შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

2.1.2 მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

2.3 სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

2.4 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

2.5 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

2.6 გადასახადები

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით .

2.7 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, შეზღუდულ და შეუზღუდავ ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

2.8 მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

2.9 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ძირითადი საშუალების ისტორიული ღირებულება მოიცავს: ა) მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე; ბ) ნებისმიერ დახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად; გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო იყენებს აქტივს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოებისაგან განსხვავებული საქმიანობისათვის. ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება.

ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

სასარგებლო მომსახურების ვადა

მანქანა-დანადგარები	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-10
ოფისის აღჭურვილობა	2-10
სატრანსპორტო საშუალება	10

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

2.10 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

2.11 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ

აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია

გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში. საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია; (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით. საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. სასესხო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი. საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

2.12 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით.

2.13 დივიდენდი

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური

ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

2.14 ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

2.15 იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას მომავალში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

3. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალება	სხვა ძირითადი საშუალება	სულ
31 დეკემბერი 2017	233581	30831	164570	96372	525354
შემოსვლა	66534	4346	-	6990	77870
გადაფასება	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	(64485)	-	(64485)
31 დეკემბერი 2018	300115	35177	100085	103362	538739
ცვეთა და გაუფასურება					
31 დეკემბერი 2017	(89359)	(19926)	(66985)	(49304)	(225574)
პერიოდის ცვეთა	(35258)	(4292)	(10000)	(13578)	(63128)
გაუფასურება	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	(124617)	(24218)	(76985)	(62882)	(288702)
წმ. საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2017	144222	10905	97585	47068	299780
31 დეკემბერი 2018	175498	10959	87585	40480	314522

4. გაცემული სესხი

	31.12.2018	01.01.2018
გაცემული სესხი	255 000	255 000
სულ გაცემული სესხი	255 000	255 000

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	01.01.2018
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	622 514	105 605
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	21 104	31 422
სულ	643 618	137 027

6.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	01.01.2018
მოთხოვნა მიწოდებიდან და მომსახურებიდან	33 141	17 666
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	25 674	29 751
ავანსად გადახდილი იჯარა	2 774	2 774
საგადასახადო აქტივი	77 471	65 787
სხვა მოთხოვნა	4 054	4 018
სულ	143 144	119 996

7.მარაგები

მარაგები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	01.01.2018
საქონელი	1 035 393	871 605
სულ	1 035 393	871 605

8. მისაღები პროცენტები

	31.12.2018	01.01.2018
მისაღები პროცენტები	104 125	53 125
სულ	104 125	53 125

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	01.01.2018
სავაჭრო ვალდებულებები	1 346 523	1 188 488
მიღებული ავანსები	5 000	4 500
სხვა ვალდებულება	143 261	128 624
სულ	1 494 784	1 321 612

10. ამონაგები

შემოსავალი 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	01.01.2018
საქონლის გაყიდვა	11 572 223	9 600 337
მომსახურების გაწევა	418 924	201 574
სულ	11 991 147	9 801 911

11. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	01.01.2018
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	4 308	4 889
ვალის პატივით მიღებული შემოსავალი	3 216	3 045
სულ	7 524	7 934

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	31.12.2018	01.01.2018
შრომის ანაზღაურება	670 919	503 820
იჯარა	355 830	276 786
კომუნალური	237 969	162 485
საბანკო ხარჯი	58 155	37 905
დაცვის ხარჯი	3 178	2 238
ცვეთა	63 890	40 734
სხვა ხარჯები	94 685	193 349
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	1 484 626	1 217 317

13. სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	01.01.2018
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი	(106)	1335
ზარალი ავტომატური გაყიდვიდან		(9036)
სულ	(106)	(7701)

14. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	01.01.2018
ადმინისტრაციული ჯარიმა	3 580	1 680
საგადასახადო ჯარიმა		6 901
სულ	3 580	8 581

15. ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	01.01.2018
საპროცენტო შემოსავალი	51 000	51 000
სულ	51 000	51 000

16. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

2018 წელს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირის ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა 9000 ლარი. (2017 წ. – 9000 ლარი). სხვა დაკავშირებული მხარეები და მათთან ოპერაციები კომპანიას არ გააჩნია.

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ნებადართულია მფლობელის მიერ 2019 წლის 26 სექტემბერს.